

მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე ლტოლვილთა სამინისტროს გადაწყვეტილების ვრცელი კრიტიკული ანალიზი

ხელმძღვანელი ორგანიზაციები ვებმაურებით მუსტაფა ემრე ჩაბუქისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უარს და მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტილება აშკარად დაუსაბუთებელი, თვითნებურია და თურქეთის არადემოკრატიული რეჟიმის მიმართ ხელისუფლების პოლიტიკური ლოიალობის უპრინციპო გამოხატულება, რაც არსებითად აზიანებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს.

სამინისტროს გადაწყვეტილების მიმოხილვა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) 2017 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით, მუსტაფა ემრე ჩაბუქს უარი ეთქვა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე წარმოშობის ქვეყანაში, თურქეთში მის მიმართ დევნის რისკის არარასებობის არგუმენტით¹. აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის სამინისტრო რამდენიმე ძირითად გარემოებაზე მიუთითებს:

1. სამინისტროს შეფასებით, განმცხადებელი მიიჩნევა ფეთულაჰჰ გიულენის მოძრაობის „ჰიმნათის“ (ფეტოს) წევრად, რომელიც თურქეთის რესპუბლიკაში ტერორისტულ ორგანიზაციად აღიქმება და პასუხისმგებელია 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობაზე, რაც მძიმე დანაშაულებრივი ქმედებაა. სამინისტროს თქმით, მ. ჩაბუქს ბრალად ედება ტერორისტული დაჯგუფების საქართველოში მოქმედ ყველა სკოლაზე პასუხისმგებლობა და დაჯგუფების ხელმძღვანელის მიერ გაცემული ბრძანების თანახმად, თბილისის დამოუკიდებელი დემირელის

¹ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად „ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით“. კანონის მე-19 მუხლის თანახმად კი „ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის ამ კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას იგი ამ კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება“.

კანონით გათვალისწინებულია ქმედებები, რომლებიც დევნად და სერიოზულ ზიანად განიხილება და 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ დევნა შეიძლება გამოიხატოს შემდეგ ფორმებში :ა) ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, აქტი; ბ) სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან/და სასამართლო აქტები და ღონისძიებები, რომლებიც თავად არის დისკრიმინაციული ან დისკრიმინაციული ფორმით ხორციელდება; გ) სისხლის სამართლებრივი დევნა ან სასჯელი, რომელიც არაპროპორციული ან დისკრიმინაციულია; დ) დარღვეული უფლების აღდგენაზე სასამართლოს მიერ უარის თქმა, რასაც შედეგად არაპროპორციული ან დისკრიმინაციული სასჯელი მოჰყვება; ე) სისხლის სამართლებრივი დევნა ან სასჯელი კონფლიქტის დროს ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებაზე უარის თქმის გამო; ვ) ქმედება, რომელიც თავისი ბუნებით გენდერულ იდენტობას, სქესს ან არასრულწლოვანს უკავშირდება.

მე-3 პუნქტით კი განიმარტება სერიოზული ზიანი და აღნიშნულია რომ ეს არის: ა) პირის მიმართ სასიკვდილო განაჩენი ან მისი სიკვდილით დასჯის საფრთხე; ბ) წარმოშობის ქვეყანაში პირის წამება, მის მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი; გ) პირის სიცოცხლისთვის სერიოზული ინდივიდუალური საფრთხე განურჩეველი ძალადობის, საერთაშორისო ან შიდაშეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

კოლეჯის წილების გასხვისება ტერორისტული ორგანიზაციის ფინანსური დახმარების მიზნით. სამინისტროს განცხადებით, თურქეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტის იდეიდან გამომდინარე, აქვს უფლება მსგავს მძიმე დანაშაულებზე აწარმოოს სისხლის სამართლებრივი დევნა მონაწილე პირების მიმართ. სამინისტროს შეფასებით, საექსტრადიციო მასალების შესწავლის შედეგები აჩვენებს, რომ საქმეში აშკარა პროცედურული დარღვევები არ აღინიშნება, რაც დევნის თვითნებურ და პოლიტიკურ ხასიათს გამოიწვევს. ამავდროულად სამინისტრო მიუთითებს, რომ ის არ არის უფლებამოსილი, შეისწავლოს თავშესაფრის მაძიებლის მონაწილეობა კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებში;

2. სამინისტრო, მიმდინარე სისხლის სამართლებრივი დევნის დისკრიმინაციულობის შეფასებისას, ასევე მიუთითებს, რომ თურქეთის რესპუბლიკაში 2016 წლის 15 ივლისის დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით ადამიანები (18 000) დააკავეს, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი (3 500) გაათავისუფლეს, რაც აჩვენებს, რომ ფეთულაჰჰ გიულენის მოძრაობის წევრების მიმართ დისკრიმინაციული დევნა არ მიმდინარეობს.

3. ამასთან, ჩაბუქისთვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესაძლებლობის დადგენის საკითხზე მსჯელობისას სამინისტრო აცხადებს, რომ თურქეთის რესპუბლიკა იღებს ვალდებულებას, დაკავებული პირები უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, ევროკავშირი და გაერო, დადებითად აფასებენ სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მიზნით თურქეთის სახელმწიფოს ნაბიჯებს. მათ შორის, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ბოლო პერიოდში თურქეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არასათანადო მოპყრობა აღარ აღინიშნება.

4. სამინისტროს შეფასებით, მ. ჩაბუქის საქმეზე საქართველომ თურქეთის სახელმწიფოსგან მიიღო დიპლომატიური გარანტიები, რომ თურქეთში მისი ექსტრადიციის შემთხვევაში დაცული იქნება ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვისა და სამართლიან სასამართლოზე უფლება. ამასთან, საქართველოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენელს უფლება ექნება, თურქეთის კანონმდებლობის შესაბამისად, მ. ჩაბუქი სასჯელის მოხდის პროცესში მოინახულოს შესაბამის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარი ასევე განუცხადა მ. ჩაბუქის მეუღლეს, მის მიმართ დევნისა და მუქარის ფაქტების დაუდასტურებლობის გამო.

სამინისტროს გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება

მ. ჩაბუქის საქმეზე სამინისტროს გადაწყვეტილება აშკარად დაუსაბუთებელია და არ არის გამყარებული ობიექტური მტკიცებულებებით, წარმოშობის ქვეყანაში არსებული უფლებრივი და პოლიტიკური კონტექსტის რეალისტური შეფასებით. სამინისტროს მიერ მოყვანილი არგუმენტების ზედაპირულობა და დაუსაბუთებლობა აჩვენებს, რომ მიღებული გადაწყვეტილება თვითნებური, დისკრიმინაციული და პოლიტიზებულია.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დასკვნა თავშესაფრის მინიჭების ან თავშესაფრის მინიჭებაზე უარის შესახებ, სხვა კომპონენტებთან ერთად, ეფუძნება თავშესაფრის მაძიებელი პირის წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას.² საკითხის შესწავლის დროს სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ინფორმაცია უნდა იყოს დასაბუთებული და აკმაყოფილებდეს გონივრული დასაბუთების სტანდარტს, რომელიც შემდეგი კრიტერიუმებით ფასდება:

²„თავშესაფრის პროცედურა“, დანართი 15

1. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო დაცვის მინიჭების გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნდა იყოს რელევანტური, ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის სამართლებრივ ასპექტებზე ან/და საერთაშორისო დაცვაზე განცხადებიდან გამომდინარე შეკითხვებზე დაფუძნებული.

2. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო დაცვის მინიჭების გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოძიებული უნდა იყოს სანდო წყაროებიდან, გათვალისწინებული უნდა იყოს წყაროს პოლიტიკური და იდეოლოგიური კონტექსტი, მანდატი, ინფორმირების მეთოდოლოგია და მოტივაცია. ვინაიდან თითოეულ წყაროს აქვს საკუთარი პერსპექტივა და ფოკუსირება, დაბალანსებული და შესაძლო სრულყოფილი შედეგის მისაღწევად, აუცილებელია სხვადასხვა ტიპის წყაროების გამოყენება.

3. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო დაცვის მინიჭების გადაწყვეტილების პროცესში, უნდა იყოს ზუსტი და უახლესი გადაწყვეტილების მიღების დროისთვის. ინფორმაციის სიზუსტე შეიძლება, მიღწეული იყოს ჯვარედინი გადამოწმების პრინციპის საფუძველზე, სხვადასხვა წყაროს გამოყენებით.

4. გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია სრულად უნდა იყოს დამოწმებული წყაროებით და მკითხველს აძლევდეს საშუალებას, დამოუკიდებლად შეაფასოს და შეამოწმოს ინფორმაცია. ინფორმაცია სრულად უნდა შეესაბამებოდეს გამოყენებულ წყაროს, უნდა იყოს გასაგებ ენაზე მომზადებული და არ უნდა დამახინჯდეს მისი მნიშვნელობა.³

შემოწმების აღნიშნული სტანდარტების მიუხედავად, სამინისტროს გადაწყვეტილებაში გამოყენებული არგუმენტები არ ეფუძნება არც ერთ რელევანტურ, სანდო და უახლოეს წყაროს და მხოლოდ სპეკულაციურ და ზედაპირულ შეფასებებს მოიცავს. მათ შორის, ტექსტში არ არის მითითებული საერთაშორისო ორგანიზაციების რელევანტური განცხადებები და ანგარიშები თურქეთში არსებულ მძიმე უფლებრივ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სამინისტროს მიერ გადაწყვეტილებაში გამოყენებული ძირითადი არგუმენტი ემყარება სადავო მტკიცებას, რომ ფეთულაჰჰ გიულენის ორგანიზაცია თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციადაა მიჩნეული და ამ ორგანიზაციის წევრების ქმედებების მიმართ სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლებრივი დევნა ლეგიტიმურია. ამის მტკიცებისას სამინისტრო სრულად უგულვებლყოფს ფეთულაჰჰ გიულენის მოძრაობასთან დაკავშირებული პირების სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მასობრივი დარღვევის შესახებ არსებულ კრიტიკულ შეფასებებს, რომელიც აღნიშნულ პროცესს კანონიერ ბუნებას არსებითად უცვლის და პოლიტიკურ შინაარსს სძენს. თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური და სამართლებრივი პროცესების სერიოზული კრიტიკის მიუხედავად, სამინისტრო არ აფასებს იმ გარემოებას, „ფეტოს“ მიჩნევა ტერორისტულ ორგანიზაციად ხომ არ წარმოადგენს თურქეთის მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკურად მოტივირებულ, გადაჭარბებულ და თვითნებურ შეფასებას.

ცხადია, რომ კონკრეტული ორგანიზაციის ტერორისტულ ორგანიზაციად მიჩნევისათვის მნიშვნელოვანია, ქვეყნის შიგნით არსებობდეს ობიექტური კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს ტერორისტული ორგანიზაციის მახასიათებლებს და ამ ორგანიზაციის წევრებისთვის თავშესაფრის მიცემის საკითხის შეფასებისას სახელმწიფო სწორედ ამგვარ კრიტერიუმებს დააფუძნებს. ე.წ. სამხედრო გადატრიალების შემდეგ თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, მათ შორის: ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების ტოტალური კონცენტრაციის, ადამიანის უფლებების უხეში და მასობრივი დარღვევის, სამოქალაქო და დემოკრატიული ინსტიტუტების დახურვისა და დევნის შემდეგ სერიოზული კითხვები ჩნდება ფეთულაჰჰ გიულენის მოძრაობის წევრების მასობრივი დევნის კანონიერებასთან დაკავშირებით.

³„თავშესაფრის პროცედურა“, დანართი 15, მუხლი 10

ავტორიტეტული არასამთავრობო ადამიანის უფლებების ორგანიზაციები, მათ შორის Human Rights Watch⁴ და Amnesty International⁵ მიუთითებენ არასათანადო მოპყრობის, წამების ფაქტების (ცემის, გამიშვლების, ხანგრძლივად სტრესულ მდგომარეობაში ჩაყენების, გაუპატიურების მუქარის) ზრდაზე, ამავე დროს - საკანონმდებლო დონეზე მიღებულ ცვლილებებზე, რომლებიც დაკავების დროს წამების წინააღმდეგ არსებულ გარანტიებს ართმევს დაკავებულებს.⁶ ორგანიზაციები ასევე საუბრობენ სამხედრო გადატრიალებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლებრივ პროცესებში სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიების არარსებობაზე. არაერთი დაკავებული, მათ შორის საჯარო მოხელეები, მასწავლებლები, მოსამართლეები (მინიმუმ, 2200 მოსამართლე) მტკიცებულებების არარსებობის მიუხედავად, იმყოფებიან პატიმრობაში, სასამართლო განხილვამდე. თურქეთში სამსახურიდან გათავისუფლებულ 100 000 საჯარო მოხელეს შორის იყო 28 000 მასწავლებელი, რომელთა გათავისუფლების მიზეზად დასახელებული იყო გიულენის მხარდაჭერა და, შესაბამისად, ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა.⁷

წამების პრაქტიკა თურქეთში შეაფასა და დაგმო ევროპულმა კომისიამ, გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტმა (CAT), წამებაზე გაეროს მომხსენებელმა, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა.⁸ მათ შორის, ევროპარლამენტის უახლოესი 2017 წლის 6 ივლისის რეზოლუცია მიუთითებს თურქეთის სასჯელადსრულებით დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების, მათი გამოძიებისა და ადგილობრივი და საერთაშორისო მონიტორინგის, ასევე სამართლიანი სასამართლო უფლების გარანტიების არარსებობის პრობლემაზე.⁹

ევროპული კომისია აკონკრეტებს, რომ სამხედრო გადატრიალების შემდგომი სადამსჯელო ღონისძიებები, წამების შემთხვევები გიულენის მოძრაობასთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ გრძელდება. კომისია აღნიშნავს, რომ თურქეთმა ევროპის რამდენიმე ქვეყანას მიმართა გიულენთან სავარაუდოდ ასოცირებული სკოლებისა და სხვა დაწესებულებების დახურვასთან დაკავშირებით. კომისია სპეციფიკურად მიუთითებს ე.წ. სამხედრო გადატრიალების შემდგომ გიულენის მოძრაობასთან კავშირის დადგენის „ბუნდოვან კრიტერიუმებზე“ და ამ დროს გამოყენებულ არასაკმარის მტკიცებულებით სტანდარტზე, კერძოდ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაუმჭირვალე და ბლანკეტურ დადგენაზე. კომისია აღნიშნულს აფასებს, როგორც „ასოციაციით ბრალს“.¹⁰ მნიშვნელოვანია, რომ ტერორისტული ორგანიზაცია „ფეტოს“ (FETÖ terrorist organization) საქმიანობის მხარდაჭერაში თურქეთის ხელისუფლებამ თურქეთში წამების პრაქტიკის შესახებ საერთო ანგარიშის¹¹ გავრცელების შემდგომ Amnesty International და Human Rights Watch-იც დაადანაშაულა.¹²

⁴<https://www.hrw.org/world-report/2017/country-chapters/turkey>

⁵<https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/turkey/report-turkey/>; <http://stockholmcf.org/amnesty-international-torture-and-other-ill-treatment-under-detention-increased-in-turkey/>

⁶http://www.ecoi.net/file_upload/1226_1481885250_58529e5b4.pdf გვ. 84-88;

⁷<https://www.hrw.org/world-report/2017/country-chapters/turkey>

⁸https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2016/20161109_report_turkey.pdf გვ. 29; 70; <http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=20977>;

<http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=20976&LangID=E>;

<http://www.coe.int/en/web/commissioner/country-monitoring/turkey>;

<http://www.refworld.org/country,,CAT,,TUR,,57a98fe64,0.html>;

http://www.ecoi.net/file_upload/1226_1481885250_58529e5b4.pdf გვ. 84;

⁹<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-%2F%2FEP%2F%2FNONSGML%20TA%20P8-TA-2017-0306%200%20DOC%20PDF%20V0%2F%2FEN>

¹⁰https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2016/20161109_report_turkey.pdf გვ. 9;

¹¹<https://www.amnesty.org/en/documents/eur44/5012/2016/en/>

¹²<https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/turkey/report-turkey/#endnote-5>

2017 წლის 6 ივლისს თურქეთის ხელისუფლებამ Amnesty International-ის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი დააპატიმრა.¹³

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დოკუმენტირებული უფლებრივი მდგომარეობის თანახმად, თურქეთში სამხედრო გადატრიალების შემდგომ მიღებული საყოველთაო სადამსჯელო ღონისძიებები, რომლებიც წამების ფაქტებშიც გამოიხატა, საჯარო მოხელეების, მათ შორის მასწავლებლების, წინააღმდეგ ხორციელდება, ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულ გიულენის მოძრაობასთან კი, როგორც ამას ევროპული კომისია ახასიათებს, მათ ბუნდოვან კრიტერიუმებზე დაყრდნობით აკავშირებენ.

ვენეციის კომისია თავის 2016 წლის 11-12 მარტის მოსაზრებაში კრიტიკულად აფასებს თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც მუსტაფა ჩაბუქის საქმეზე გამოყენებული და მიუთითებს, რომ ის არ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის მოთხოვნებს და თვითნებური დევნის მაღალ რისკს შეიცავს.¹⁴

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდგომ ორგანიზაცია FETO-ს 59 წევრის ექსტრადიციის შესახებ თურქეთის მოწოდების მიუხედავად, დღემდე არც ერთი პირი არ გადაუყვიათ.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ სამინისტროს შეფასებები, თითქოს 2016 წელს თურქეთში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებული ადამიანების გარკვეული ნაწილი გათავისუფლდა, რაც თურქეთში სისხლის სამართლებრივი დევნის დისკრიმინაციულობას per se გამორიცხავს, აშკარად დაუსაბუთებელი და ზედაპირულია. მით უფრო, რომ გადაწყვეტილებაში სამინისტრო საერთოდ არ მსჯელობს კონკრეტული საქმის ინდივიდუალური გარემოებებისა და რისკის შესახებ.¹⁵ ცხადია, ამ პირობებში ასევე აბსურდული და უსაფუძვლოა სამინისტროს მტკიცებები თურქეთში სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიების არსებობისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების და არასათანადო მოპყრობის არარსებობის შესახებ.

მეტიც, ტერორისტული დანაშაულის ბუნებისა და, აგრეთვე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩაბუქისთვის წარდგენილი ბრალდება ეხება მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე დაწყებულ და დასრულებულ *სავარაუდო* დანაშაულს, არსებითი იყო, სამინისტროს შეემოწმებინა დანაშაულებრივი ქმედების რეალურად ჩადენის შესაძლებლობა. სამინისტროს საერთოდ არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ მსგავსი დანაშაულების გამოძიებაზე იურისდიქცია საქართველოს სახელმწიფოს ეკუთვნის, რაც სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, **საქართველოს აძლევს უფლებას, უარი განაცხადოს პირის ექსტრადიციასზე.** მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ *საქართველოს და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების 35-ე მუხლი* პირდაპირ ადგენს, რომ პირის გადაცემა დაუშვებელია თუ დანაშაული ჩადენილია იმ სახელმწიფოში, სადაც გადასაცემი პირი ფაქტობრივად იმყოფება.

სამინისტროს გადაწყვეტილებაში მითითებული ინფორმაცია, რომ საქართველომ მუსტაფა ჩაბუქის საქმეზე მიიღო დიპლომატიური გარანტიები მისი უფლებების დაცვის შესახებ, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ საქართველოს ხელისუფლება გეგმავს თურქეთში მის ექსტრადიციას, რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უკიდურესი დარღვევა და სრული უგულებელყოფა იქნება. ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად მიიჩნევა პოლიტიკური დევნის გამო წამების რისკის

¹³<https://www.radiotavisupleba.ge/a/dakaveba-turketshi/28533452.html>

¹⁴ [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2016\)002-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2016)002-e)

¹⁵ სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ გვ. 15-16 <http://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=57108d0d4>

შემცველ გარემოებებში პირის სხვა ქვეყნისთვის გადაცემას.¹⁶ ევროპული სასამართლო საუბრობს ტერორისტული საფრთხეების კონტექსტშიც სახელმწიფოს უალტერნატივო ვალდებულებაზე, საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, არ გადასცეს პირი სხვა ქვეყანას, სადაც საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე პირი დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობას.¹⁷

მოთხოვნები

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელმომწერი ორგანიზაციები

ვგმობთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აშკარად დაუსაბუთებელ, უკანონო და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას და მოვუწოდებთ უწყებას, თავისი საქმიანობა ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს და არ დაუშვას მსგავს საქმეებზე პროცესების პოლიტიზირება და კანონიერი ჩარჩოდან გაყვანა;

მოვუწოდებთ საერთო სასამართლოებს, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, საქმე ადამიანის უფლებების სტანდარტების ჯეროვანი გამოყენებით და დაცვით განიხილონ და ეფექტიანად უზრუნველყონ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის შემოწმებისა და კონტროლის კონსტიტუციური ფუნქციის შესრულება;

მოვუწოდებთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მთავრობას, არ დაუშვას მუსტაფა ჩაბუქის ექსტრადიცია თურქეთში, რადგან ეს გადაწყვეტილება არსებითად დაარღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და რადიკალურად დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს;

მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, გაიაზროს მუსტაფა ჩაბუქის საქმის პოლიტიკური და სოციალური კონტექსტები, მათ შორის, საქართველოში მოქმედი არა ერთი მსგავსი სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლეების, მშობლების ინტერესები და შიში და უზრუნველყოს საქმეზე ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი.

¹⁶ Chamber Judgment Y.P and L.P. v. France 02.09.2010

¹⁷Chahal v. the United Kingdom, §§ 73-74; Soering v. the United Kingdom, §§ 88-91; [Shamayev and 12 Others v. Georgia and Russia](#), §§ 355;